



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ევრომასტერი“

ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის მიხედვით

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.



სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
2. მოგება-ზარალის ანგარიშგება	4
3. ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4
4. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძვლები	5

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	6
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	6
5. სასაქონლო მატერიალური მარაგები	6
6. ძირითადი საშუალებები	7
7. არამატერიალური აქტივები	8
8. ვალდებულებები.....	8
9. შემოსავალი.....	8
10. საოპერაციო ხარჯები	8
11. საწესდებო კაპიტალი	9
12. დასკვნა.....	9

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის



	შენიშვნა	31.12.2022	01.01.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	6	2,382,979	2,261,113
არამატერიალური აქტივები	7	4,068	4,068
სულ გრძელვადიან აქტივები		2,387,047	2,265,181
მიმდინარე აქტივები			
სხვა მოთხოვნები	4	464,717	452,700
დარიცხული მოთხოვნები	4	429,177	338,398
გადახდილი გადასახადები			-
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	1,418,666	1,370,332
გადახდილი ავანსები		359,147	175,979
სავაჭრო მოთხოვნები	4	111,971	194,235
ფული და ფულის ექვივალენტები	3	72,418	25,959
სულ მიმდინარე აქტივები		2,856,096	2,557,603
სულ აქტივები		5,243,143	4,822,784
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	100	100
გაუნაწილებელი მოგება		(862,162)	(1,790,315)
სულ კაპიტალი		(862,062)	(1,790,215)
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	8	24,630	52,257
მიღებული ავანსები		14,068	14,219
მოკლევადიანი სესხები		-	38,458
გადასახდელი გადასახადები		41,825	85,463
დარიცხული ვალდებულებები		-	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-	11,812
სულ მიმდინარე ვალდებულებები		80,523	202,209
გრძელვადიანი ვალდებულებები		6,024,682	6,410,790
სულ ვალდებულებები		6,105,205	6,612,999
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		5,243,143	4,822,784

მოგება-ზარალის ანგარიშგება (საქმიანობის შედეგები)
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	9	1,374,448	832177
შემოსავალი მომსახურობიდან	9	484,945	437386
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	9	37,688	6503
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება	5	(921,033)	(533,318)
რეალიზებული ძირითადი საშუალების თვითღირებულება	6	(18,215)	
მთლიანი მოგება		957,833	742,748
საოპერაციო ხარჯები	10	(331,548)	(178,253)
ხელფასის ხარჯი		(685,434)	(483,141)
საპროცენტო ხარჯი		(92,761)	(139,372)
ცვეთის ხარჯი	6	(138,544)	(188,352)
საპროცენტო შემოსავალი	9	93,322	90555
საოპერაციო მოგება		(197,132)	(155,815)
არასაოპერაციო ხარჯი		(33,580)	(3,110)
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან		1,160,136	952498
მოგების გადასახადი არასაოპერაციო ხარჯებზე		(1,271)	(625)
არასაოპერაციო მოგება/ზარალი		1,125,285	948,763
სულ მოგება/ზარალი		928,153	792,948

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფულადი სახსრების მოძრაობა	2022წ	2021წ
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-593519	123293
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	662106	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		-94496
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-22128	-29853
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	25959	27015
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	72418	25959

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ევრომასტერი (ყოფილი „ჯეოტურანი“), დაფუძნდა 2010 წლის 12 თებერვალს, საიდენტიფიკაციო კოდი: 412670499, მარეგისტრირებელი ორგანო არის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა 132, ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქ.132. ორგანიზაციის დამფუძნებელია ფიზიკური პირი პაატა რუსაძე - 100%-ით.

კომპანია სპეციალიზირებულია წყლის და გაზის მაგისტრალების მშენებლობისთვის საჭირო ყველა პროდუქციის, შესადულებელი აპარატების, სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების საწმენდი მოწყობილობებისა და საბურღი აპარატების რეალიზაციაზე.

ამავდროულად, კომპანია ადგილზევე ახდენს 40-დან 1000 დიამეტრის ჩათვლის პოლიეთილენის სხვადასხვა სეგმენტური ფიტინგების წარმოებას, იტალიური ულტრათანამედროვე დანადგარებისა და კვალიფიციური, სერთიფიცირებული შემდუღებლების საშუალებით.

ევრომასტერი თანამედროვე აპარატების, ხელსაწყოებისა და კვალიფიციური პერსონალის დახმარებით მომხმარებელს ასევე სთავაზობს სხვადასხვა სახის მომსახურებას, კერძოდ:

- ✓ პოლიეთილენის მილის შედუღება 40-დან 1000 დიამეტრის ჩათვლით როგორც პირა-პირა, ასევე ელექტრო მეთოდით;
- ✓ გარე და შიდა საკანალიზაციო, სანიაღვრე ქსელების ტელედიაგნოსტიკა, CCTV ინსპექტირება, ასევე წმენდა/გასუფთავება;
- ✓ გეოლოგიური/გეოდეზიური ანალიზი (წყლის დონის დადგენა);
- ✓ არმირებული ბეტონის ბურღვა და საბურღი გვირგვინებზე სეგმენტების აღდგენა;
- ✓ ნებისმიერი სახის ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარების, ავზების და სეპტიკების წარმოება დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასებისას ხელმძღვანელი ითვალისწინებს კოვიდ 19-ის გავლენას საწარმოს ფუნქციონირებაზე, ასევე ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენას კომპანიის ოპერაციებზე. ანალიზების შეჯამება იძლევა საფუძველს, რომ ორგანიზაცია განაგრძნობს ფუნქციონირებას ანგარიშგების წარდგენიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

აღნიშნული ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 21 სექტემბერს.

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ორგანიზაციის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ორგანიზაციის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას. აქტივების და ვალდებულებების, კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკუროსო მოგება და საკუროსო ზარალი აღიარებულია საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით მოგება-ზარალში, ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით.

ფინანსური ანგარიშგების შედგენისას ორგანიზაციამ გამოიყენება შემდეგი გაცვლითი კურსები ეროვნულ ლართან მიმართებაში: 31.12.2022წ - 1 აშშ დოლარი = 2.7020 ; 1 ევრო = 2.8844;

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება ან მიაწოდა პროდუქცია, აღიარა შემოსავლად, მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. პერიოდის ბოლოს ორგანიზაცია ახორციელებს არსებული სავაჭრო მოთხოვნების ანალიზს. თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია მისი დადგომიდან ერთი წლის განმავლობაში ისინი აღირიცხება მოკლევადიან მოთხოვნებში. მომხმარებლის გადახდის უნარობა შეიძლება მოითხოვოს საექვო ან უიმედო ვალების რეზერვი.

გრძელვადიანი მოთხოვნებში იგულისხმება ორგანიზაციის მიერ ფიზიკურ პირზე გაცემული სესხი. დარიცხულ მოთხოვნებში - გაცემული სესხიდან მისაღები საპროცენტო სარგებელი.

#	სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	31.12.2022	01.01.2022
1	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	46,137	128,401
2	საექვო მოთხოვნები (ვადაგადაცილება 520 დღეზე მეტი)	65,834	65,834
3	მოკლევადიანი მოთხოვნები	464717	452700
4	დარიცხული მოთხოვნები	429177	338398

5. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგი თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით , რომელიც მოიცავს უშუალოდ მარაგის ღირებულებას, მისი დატვირთვის დანახარჯებს, ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, საბაჟო გადასახადებს, ასევე ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული მარაგების დიდი ნაწილი წარმოადგენს სწრაფრუნვად მარაგებს, რომელსაც ორგანიზაცია იყენებს საოპერაციო საქმიანობისათვის.

საწყისი სასაქონლო-მატერიალური მარაგები ნაშთი 01.01.2022	1,370,332
რეალიზაციისთვის განკუთვნილი მარაგების შესყიდვა	1,251,513
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგების შესყიდვა	35,932
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(908,213)
მომსახურებაზე გახარჯული მასალების თვითღირებულება	(12,820)
გადატანა ძირითად საშუალებაში	(280,170)
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგების ჩამოწერა	(37,908)
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები 31.12.2022	1,418,666

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსზე აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით ცვეთის გამოკლებით, რომელიც მოიცავს იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როცა ძირითადი საშუალება მზად არის ექსპლუატაციისთვის. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რომელიც გულისხმობს აქტივის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში თანხის თანაბარ დარიცხვას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

- | | |
|---|------------|
| 1) შენობა-ნაგებობა | 30 წელი; |
| 2) მანქანა-დანადგარების | 3-10 წელი; |
| 3) სატრანსპორტო საშუალებები და სპეც. დანიშნულების ტექნიკა | 7-10 წელი; |
| 4) ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი | 3-7 წელი; |
| 5) სხვა ძირ. საშუალებები | 5 წელი |

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის.

	თარიღი	მიწა	შენობა-ნაგებობა	მანქანა-დანადგარი	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანს. საშუალებები და სპეც. ტექნიკა	არამატერ. ძირ. საშუალებები
საწყისი საბალანსო ღირ-ბა 01.01.2022	01.01.2022	518,922	1,413,673	695,149	105,786	327,191	19,391
მიღებული/განახლებული		2,406	17,665	213,466	7,307	43,030	0
ჩამოწერილი		0	0	18,214	0	5,250	0
დაგროვილი ცვეთა	01.01.2022	0	311,503	336,925	43,465	107,714	15,323
გადაფასება	31.12.2022	0	0	0	0	0	0
დარიცხული ცვეთა	31.12.2022	0	47,920	43,011	13,177	34,436	0
ნარჩენი ღირებულება 31.12.2022	31.12.2022	521,328	1,071,915	510,465	56,451	222,821	4,068



ძირითად საშუალებებზე გაწეული შემდგომი დანახარჯი ტარდება საოპერაციო ხარჯებში. მიმდინარე მეთოდით, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტიდან (რეალიზაციის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ნარჩენი ღირებულება) წარმოშობილი მოგება ან ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

7. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არ მქონე აქტივი, რომელიც მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს, ლიცენზიებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ აღიარდება დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ღირებულების გამოკლებით.

8. ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს ორგანიზაციის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ეკონომიკური საქმიანობის პირობებში საქონლის/მომსახურების მიღების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლის/მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

მიღებული ავანსები წარმოადგენს გასაწევი მომსახურების სანაცვლოდ წინასწარ მიღებულ სარგებელს.

მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები მოიცავს კერძოდ ორგანიზაციებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან არსებულ გარიგებას, რომლების გადახდის ვადის შესაბამისად განიხილება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებში. ვალდებულება მოკლევადიანია როდესაც მოსალოდნელია მისი დაფარვა 12 თვის განმავლობაში, სხვა ყველა შემთხვევაში გრძელვადიანია.

9. შემოსავალი

პერიოდის შემოსავალი მოიცავს საქონლის რეალიზაციიდან, მომსახურებიდან, ასევე იჯარიდან მიღებულ შემოსავალს დამატებითი ღირებულის გარეშე.

არასაოპერაციო შემოსავალში მოიაზრება სესხის სახით გაცემული თანხიდან მისაღები სარგებელი (პროცენტი).

10. საოპერაციო ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოიქმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. ყველა მოცემული ხარჯი გაწეულია საოპერაციო საქმიანობაზე.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეული იქნა. პროცენტის ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

#	საოპერაციო ხარჯი	
1	სატრანსპორტო საშუალებების შენახვის ხარჯი	20,506
2	რეკლამის ხარჯი	35,505
3	სოციალური დანარიცხები	10,371
4	საოფისე ინვენტარი	7,426
5	კომუნალური ხარჯები	21,562
6	ბანკის მომსახურების საკომისიო	20,737
7	მომსახურების ხარჯი	93,474
8	საწვავის ხარჯი	26,698
9	სამივლინებო ხარჯი	40,678
10	ქონების გადასახადი	19,318
11	სხვა წვრ. ხარჯები	33,887
12	საკანცელარიო ნივთების ხარჯი	1,386
ჯამი		331,548

11. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარებული დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით.

	საწესდებო კაპიტალი	მოგება-ზარალი
ნაშთი 01.01.2022	100	(1,790,315)
პერიოდის მოგება-ზარალი		928,153
ნაშთი მოგება-ზარალი 31.12.2022	100	(862,162)

12. დასკვნა

ხელმძღვანელი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ხელმძღვანელს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის შეზღუდვის გეგმები. აქვს ორგანიზაციის წინსვლისა და განვითარების გეგმა, ყველა მოქმედი გარე ფაქტორის გათვალისწინებით.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს ადგილი არ ქონია, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა,

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

[Handwritten signature]



[Handwritten signature] /პაატა რუსაძე/
[Handwritten signature] /ანა ჩიქობავა/